

ნანა ჯაფარიძე  
ნანი წულაია  
მაია წილოსანი

4

# მათემატიკა

ნაწილი I



## მოსწავლის წიგნი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



ბაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა

## როგორ ვისარგებლოთ წიგნით

წიგნზე მუშაობა რომ გაგიადვილდეს, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, გაგაცნოთ წიგნის აგებულება.

წიგნი შედგება თავებისგან, თითოეული თავი კი – პარაგრაფებისგან. ყოველ თავში მოცემულია ერთი ან ორი „ტესტი თვითშემოწმებისთვის“. ტესტებზე მუშაობა დაგეხმარება, შეამოწმო, რამდენად კარგად აითვისე განვლილი მასალა, რა გიჭირს, რა საკითხებზე უნდა გაამახვილო ყურადღება. წიგნში ზოგიერთი პარაგრაფის ბოლოს შეხვდები რუბრიკებს:

„პროექტი დამოუკიდებელი კვლევისთვის“ – მის შესასრულებლად დაგჭირდება ინფორმაციის მოძიება (ცნობარებში, სხვადასხვა სახის ლიტერატურაში, ინტერნეტში) და საპრეზენტაციო თემის წარმოდგენა.

„ამოცანა დამოუკიდებელი კვლევისთვის“ წმინდა მათემატიკური ხასიათისაა. ამ ამოცანების შესრულებისას გამოიმუშავე ფიქრის, კვლევის, ლოგიკური აზროვნების, ვარაუდების გამოთქმისა და დასკვნების გამოტანის უნარს.


„ეს საინტერესოა“ გაგაცნობს საინტერესო ფაქტებსა და თეორიებს მათემატიკის შესახებ.


წიგნში განმარტებები, თვისებები, ფორმულები, ზოგიერთი საჭირო დასკვნა ფერად ფონზეა მოცემული.


ყოველ პარაგრაფში შეხვდები ამ ნიშნებს:

\* – შედარებით რთული ამოცანა;


❓ – მარტივი კითხვები, რომლებსაც ახალი მასალის ახსნის პროცესში უნდა უპასუხო.


 – წყვილებში სამუშაო


 – რუბრიკა „ეს საინტერესოა“

 – „ვითამამოთ“

 – პროექტი კვლევისთვის

 – ტესტი თვითშემოწმებისთვის

 – რუბრიკა „მოიფიქრე“

 – ჯგუფური მეცადინეობა

წიგნის ბოლოს მოცემულია ზომის ერთეულები, გეომეტრიული ფიგურები და სავარჯიშოების პასუხები.

**გაუფრთხილდი წიგნს!**

**ნუ გააკეთებ მასში ჩანაწერებს!**

**გისურვებთ წარმატებებს!**

# სარჩევი

გავიმეოროთ მე-3 კლასში  
შესწავლილი მასალა.....7

## თავი 1

### 1000-ის ფარგლებში ქვეშინური შეკრება- გამოკლება

1. შეკრება. შეკრების კანონები.....12
  2. რიცხვების ქვეშინურით შეკრება  
.....15
  3. გამოკლება .....19
  4. გამოკლება ქვეშინურით.....21
  5. გამოსახულება. მოქმედებათა  
შესრულების რიგი.....24
  6. ამოვხსნათ ამოცანები .....28
  7. ამოვხსნათ ამოცანები (გაგრძელება).30
  8. მრგვალი რიცხვები.....32
  9. დიაგრამა.....34
- ტესტი თვითშემოწმებისთვის.....36
- I თავის დამატებითი სავარჯიშოები .37

## თავი 2

### ერთნიშნა რიცხვზე გამრავლება-გაყოფა 1000-ის ფარგლებში

1. გამრავლება .....42
2. გამრავლების განრიგებადობის  
კანონი შეკრების მიმართ.....44
3. გამრავლების განრიგებადობის  
კანონი გამოკლების მიმართ.....46
4. რიცხვის გამრავლება 10-ზე,  
100-ზე.....48
5. გამრავლება ერთნიშნა რიცხვზე ..51
6. გაყოფა ნაშთით .....54

7. ჯამის გაყოფა რიცხვზე.....56
  8. გაყოფა ერთნიშნა რიცხვზე .....59
  9. გაყოფა ერთნიშნა რიცხვზე,  
როცა განაყოფის ჩანანურში  
მიიღება ნული.....62
  10. ამოვხსნათ ამოცანები .....64
- ტესტი თვითშემოწმებისთვის.....66
- II თავის დამატებითი  
სავარჯიშოები .....67

## თავი 3

### 1000-ზე მეტი რიცხვები

1. რიცხვები, რომლებიც მეტია  
1000-ზე.....70
  2. კლასები და თანრიგები .....72
  3. ნატურალური რიცხვები .....75
  4. რიცხვის გადიდება და შემცირება  
10-ჯერ, 100-ჯერ, 1000-ჯერ.....78
  5. რიცხვების შედარება .....80
  6. სიგრძის ერთეულები .....82
  7. მასის ერთეულები .....85
  8. დროის ერთეულები.....87
- ტესტი თვითშემოწმებისთვის.....90
- III თავის დამატებითი  
სავარჯიშოები.....91
- პასუხები .....93
- ზომის ერთეულები .....95
- გეომეტრიული ფიგურები.....95

1. წაიკითხე რიცხვები და უპასუხე: რამდენი ასეული, ათეული, ერთეულია მოცემულ რიცხვში?  
 ა. 107; ბ. 235; გ. 900; დ. 139; ე. 750; ვ. 255.

2. დააკვირდი ცხრილს და უპასუხე შეკითხვებს:

	ასეულები	ათეულები	ერთეულები
1	5	7	0
2	1	0	3
3	3	1	0
4	1	9	9
5	2	8	5

- ა. რას აღნიშნავს ცხრილში მოცემულ პირველ სტრიქონში – 7; მეორეში – 0? მესამეში – 1? მეოთხეში – 9? მეხუთეში – 5? ჩანერე და წაიკითხე ცხრილში მოცემული რიცხვები.  
 ბ. დახაზე რვეულში ანალოგიური ცხრილი და ჩანერე მასში რიცხვი, რომელიც შეიცავს მხოლოდ:

- 2 ასეულს 7 ათეულს და 5 ერთეულს;
- 7 ასეულს 0 ათეულს და 5 ერთეულს;
- 9 ასეულს 9 ათეულს და 9 ერთეულს.

3. შეასრულე მოქმედება:

- ა.  $(35 - 7) : 4$ ; დ.  $(14 + 16) : 5$ ;  
 ბ.  $85 - 45 : 9$ ; ე.  $21 : 3 + 17$ ;  
 გ.  $(12 + 51) : 7$ ; ვ.  $36 : 6 + 42 : 7$ .

4. რას აღნიშნავს მოცემულ რიცხვებში:

- ა. 295; 518; 357 ციფრი „5“? გ. 130; 335; 903 ციფრი „3“?  
 ბ. 205; 390; 700 ციფრი „0“? დ. 701; 770; 357 ციფრი „7“?

5. მოცემული ჯამი შეცვალე ნამრავლით და იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა:

- ა.  $5 + 5 + 5 + 5 + 5 + 5$ ; გ.  $7 + 7 + 7 + 7 + 7$ ;  
 ბ.  $2 + 2 + 2$ ; დ.  $4 + 4 + 4 + 4 + 4$ .

6. გამოთვალე:


- ა.  $5 \cdot 7 \cdot 0$ ; ე.  $(25 + 35) \cdot 0$ ;  
 ბ.  $17 + 1 \cdot 35$ ; ვ.  $(7 \cdot 0 + 35) \cdot 1$ ;  
 გ.  $36 : 9 : 4$ ; ზ.  $45 : 5 + 4 \cdot 0$ ;  
 დ.  $28 : (4 - 0)$ ; თ.  $42 : 6 \cdot 0$ .

7. გადაინერე რვეულში და ჩანერე ვარსკვლავის ადგილას რიცხვი ისე, რომ მიიღო სწორი ტოლობა:

- ა.  $57 + * = 85$ ; დ.  $* - 13 = 25$ ;  
 ბ.  $75 - * = 52$ ; ე.  $56 : 7 + * = 23$ ;  
 გ.  $35 : 7 + * = 15$ ; ვ.  $* + 35 = 53$ .

=?    =?    =?  
 თუ:  
 + = 45  
 + = 50  
 + 50 = 70

8. შეასრულე მოქმედება:



9. ლუკა კატოზე უფროსია 4 წლით, ლიზა კი ლუკაზე უფროსია 7 წლით.

- ა. რამდენი წლის არის ლიზა, თუ კატო 4 წლისაა?
- ბ. რამდენი წლის იქნება 5 წლის შემდეგ ლიზა? კატო?
- გ. რამდენი წლის იყო ლუკა 3 წლის წინ, ლიზა?

10. ერთ კოლოფში 17 ცალი შოკოლადია, მეორეში – 5-ით ნაკლები. თითოდან ამოიღეს ხუთი შოკოლადი. რამდენი შოკოლადი დარჩა ორივე ყუთში ერთად?

11. ნინომ და ლიკამ სკოლის ნაკვეთზე ყვავილების დარგვა გადაწყვიტეს. ნინო ყოველდღე 25 ყვავილს რგავს, ლიკა კი – 17 ყვავილს. რამდენ ყვავილს დარგავენ გოგონები სამ დღეში? (ამოცანა ამოხსენი ორი გზით). ისარგებლე მოცემული ცხრილით.



	ყოველდღე დარგული ყვავილების რაოდენობა	დღეების რაოდენობა	დარგული ყვავილების რაოდენობა	ორივეს მიერ დარგული ყვავილების რაოდენობა
ნინო	25	3	?	?
ლიკა	17	3	?	

შეადგინე ამოცანის ამოხსნის მეორე გზის შესაბამისი ცხრილი.

12. იპოვე უდიდესი სამნიშნა რიცხვისა და უდიდესი ორნიშნა რიცხვის სხვაობა.

13\*. მამამ თიკას და ნიკას სათამაშო კომპლექტები მოუტანა, თიკას კომპლექტში 20 ცალი სათამაშო იდო, ნიკას კომპლექტში კი – იმდენივე და კიდევ იმის ნახევარი. რამდენი სათამაშო დევს ორივე კომპლექტში?

14. ლუკამ ხუთ ნაჭერ ნამცხვარსა და ოთხ ხაჭაპურში 22 ლარი გადაიხადა. რა ღირს ერთი ხაჭაპური, თუ ერთი ნაჭერი ნამცხვარი 2 ლარი ღირს?

ამოცანის პირობა სქემის სახით:

	რაოდენობა	ფასი	გადახდილი თანხა
ხაჭაპური	4	?	22 ლარი
ნამცხვარი	5	2 ლარი	

ამოცანის ამოხსნის გეგმა:

- ა. რა ღირს 5 ნაჭერი ნამცხვარი?
- ბ. რა ღირს 4 ხაჭაპური?
- გ. რა ღირს 1 ხაჭაპური?

იმისათვის, რომ ვიპოვოთ ერთი ცალის ფასი, ღირებულება უნდა გავყოთ რაოდენობაზე;

რომ ვიპოვოთ რაოდენობა, ღირებულება უნდა გავყოთ ფასზე;

რომ ვიპოვოთ ღირებულება, რაოდენობა უნდა გავამრავლოთ ფასზე.

15. იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა:

ა.  $(15 - 8) \cdot 8;$

დ.  $(5 + 4) \cdot 7;$


ბ.  $(36 + 28) : 64;$

ე.  $56 + 36 : 9;$

გ.  $80 : (20 \cdot 2);$

ვ.  $80 : 20 \cdot 2.$

16. რამდენი კვადრატია ა. და ბ. სურათებზე? რამდენი სამკუთხედია გ. სურათზე?



17\*. გაშიფრე ანაგრამა (გადაანაცვლე ასოები ისე, რომ გამოვიდეს სიტყვა):

ა. ულვერი;

გ. ინდარმანი;

ბ. შაამოსათ;

დ. ვანლას.

18. ნახატის მიხედვით იპოვე საზამთროს მასა, თუ ერთი ნესვი 2 კგ-ს იწონის?



19\*. შოკოლადებით სავსე ექვსი ერთნაირი ყუთის მასაა 48 კგ.

ერთი ყუთი კანფეტი 2 კგ-ით მეტს იწონის, ვიდრე ერთი ყუთი შოკოლადი. რას უდრის 8 ყუთი კანფეტის წონა?


20. რესტორანში მიიტანეს ოთხი ყუთი (თითოეულში 10 კგ)

სტაფილო და 3 ყუთი კომბოსტო. რამდენი კილოგრამი


კომბოსტო ეწყო თითოეულ ყუთში, თუ სულ 64 კგ სტაფილო

და კომბოსტო მიიტანეს? რომელი სქემა შეესაბამება ამოცანის ამოხსნას?

ა.



ბ.



შეადგინე მოცემულის შებრუნებული ამოცანა მეორე სქემისთვის.

21\*. დათომ თქვა: „მე მყავს იმდენივე და, რამდენიც ძმა“. დათოს დამ, მაკამ კი თქვა: „მე მყავს ორჯერ მეტი ძმა, ვიდრე – და“. რამდენი ბავშვი ცხოვრობს ამ ოჯახში?

**22.** ხეხილის ბაღში ვაშლისა და მსხლის 143 ნერგი დარგეს. ვაშლის ნერგები რამდენიმე რიგად, თითო რიგში – 8 ნერგი, ხოლო მსხლისა – 9 რიგად, თითო რიგში – 7 ნერგი. რამდენი რიგი დარგეს ვაშლის ნერგები?

**23.** ახსენი ქვემოთ მოცემული რიცხვების შეკრების თითოეული ხერხი:

ა.  $240 + 450 = 200 + 40 + 400 + 50 = (200 + 400) + (40 + 50) = 600 + 90 = 690$

$240 + 450 = 240 + 400 + 50 = (240 + 400) + 50 = 640 + 50 = 690$

$240 + 450 = 24 \text{ ათ.} + 45 \text{ ათ.} = 69 \text{ ათ.} = 690$

ბ.  $460 + 280 = 400 + 200 = 600$   
 $60 + 80 = 140$   
 $600 + 140 = 740$

გ. იპოვე ჯამი:

$350 + 310$ ;  $470 + 120$ ;  $560 + 150$ ;  $470 + 250$ .

**24.** შეადგინე ამოცანა მოცემული ცხრილის მიხედვით და იპოვე:

ა. რამდენ კილომეტრს გაივლიდა მეორე ავტომობილი 6 სთ-ში?

	ერთ საათში გავლილი მანძილი	მოძრაობის დრო	გავლილი მანძილი
1-ლი ავტომობილი	?	4 სთ	200 კმ
მე-2 ავტომობილი	10 კმ-ით მეტი	6 სთ	? კმ

**25.** შეასრულე დავალება:

ა. ახსენი მოცემული რიცხვების გამოკლების თითოეული ხერხი:

$780 - 230 = (700 - 200) + (80 - 30) = 500 + 50 = 550$

$780 - 230 = (780 - 200) - 30 = 580 - 30 = 550$

$780 - 230 = 78 \text{ ათ.} - 23 \text{ ათ.} = 55 \text{ ათ.} = 550$

ბ. გამოთვალე:

$350 - 120$ ;  $880 - 560$ ;  $690 - 260$ ;  $760 - 140$ .

**26.** ახსენი, როგორ შეასრულეს გამოკლება:

ა.  $540 - 90 = 540 - 40 = 500$   
 $500 - 50 = 450$


ბ.  $540 - 90 = 140 - 90 = 50$   
 $400 + 50 = 450$

გ.  $500 - 130 = 500 - 100 = 400$   
 $400 - 30 = 370$

## ვითამაშოთ

ყუთში ასანთის 10 ღერია. ერთ სვლაზე მოთამაშეს შეუძლია აიღოს 1 ან 3 ასანთის ღერი. მოიგებს ის მოთამაშე, რომელიც აიღებს ბოლო ასანთის ღერს. რამდენი ასანთის ღერი უნდა აიღოს თავდაპირველად პირველმა მოთამაშემ, რომ მოიგოს?

# თავი 1



## 1000-ის ფარგლებში ქვეშმინერით შეკრება-გამოკლება

### შეისწავლი:

1000-ის ფარგლებში რიცხვების ქვეშმინერით შეკრებასა და გამოკლებას; რიცხვით გამოსახულებაში მოქმედებათა რიგის თანმიმდევრობას, მოცემული მონაცემების გაანალიზებას და მათ წარმოდგენას ცხრილისა თუ დიაგრამის სახით.

### შეძლებ:

- რიცხვების ქვეშმინერით შეკრება-გამოკლებას;
- ამოცანის პირობის წარმოდგენას სქემატური ნახაზებით;
- ამოცანის ამოხსნის გეგმის შედგენას;
- რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის პოვნას მოქმედებათა თანამიმდევრობის რიგის დაცვით.





## ამოცანა 1.

ყვავილების მაღაზიაში 150 ცალი მიხაკი და 210 ცალი ვარდი მიიტანეს. რამდენი ყვავილი მიიტანეს მაღაზიაში?

კატომ ეს ამოცანა ასე ამოხსნა:

$$150 + 210 = 360.$$

ლუკამ კი ასე:

$$210 + 150 = 360.$$

**?** რა თქმა უნდა, ორივემ ერთი და იგივე შედეგი მიიღო.

1. შეასრულე მოქმედება, დააკვირდი მიღებულ შედეგებს და გამოიტანე გონივრული დასკვნა:

ა)  $58 + 79$ ,  $79 + 58$ .      ბ)  $122 + 258$ ,  $258 + 122$ .

**შეკრების გადანაცვლებადობის კანონი:** შესაკრებთა ადგილების შეცვლით ჯამი არ იცვლება.

## ამოცანა 2.

ნინომ ბაღში 28 ვაშლი მოკრიფა, ნიკამ – 45 ვაშლი, ხოლო გიორგიმ – 35 ვაშლი. რამდენი ვაშლი მოკრიფა სამივემ ერთად?

ვახომ ეს ამოცანა ასე ამოხსნა:  $(28 + 45) + 35 = 108$

ელენემ კი ასე:  $28 + (45 + 35) = 108$


ორივემ ერთი და იგივე შედეგი მიიღო.

**შეკრების ჯუფთებადობის კანონი:** ორი რიცხვის ჯამს რომ მესამე რიცხვი დავუმატოთ, შესაძლებელია პირველ რიცხვს მივუმატოთ მეორე და მესამე რიცხვების ჯამი.

## მაგალითი 1.

შეკრიბე რიცხვები მარტივი ხერხით:

ა)  $77 + 57 + 23 + 43$ ;      ბ)  $84 + 58$ .



ამოხსნა:

$$\begin{aligned} \text{ა. } 77 + 57 + 23 + 43 &= & | \text{ მე-2 და მე-3 შესაკრებებს შევუცვალეთ ადგილები.} \\ &= 77 + 23 + 57 + 43 = & | \text{ დავაჯგუფეთ 1-ლი და მე-3, მე-2 და მე-4 შესაკრებები.} \\ &= (77 + 23) + (57 + 43) = \\ &= 100 + 100 = 200. \end{aligned}$$

$$\begin{aligned} \text{ბ. } 84 + 58 &= & | 84 = 80 + 4; 58 = 20 + 38 \\ &= 80 + 4 + 20 + 38 = & | \text{ შეკრების გადანაცვლებადობის კანონი} \\ &= 80 + 20 + 4 + 38 = & | \text{ ჯუფთებადობის კანონი} \\ &= (80 + 20) + (4 + 38) = \\ &= 100 + 42 = 142. \end{aligned}$$

შეკრების შედეგი არ არის დამოკიდებული შესაკრებთა ჩანერის თანმიმდევრობაზე.

## სავარჯიშოები:

1. გამოთვალე (ზეპირად):

ა.  $80 + 800 + 20$ ;

გ.  $120 + 68 + 80 + 32$ ;

ბ.  $200 + 320 + 80$ ;

დ.  $65 + 240 + 35 + 60$ .

2. იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა მარტივი გზით:

ა.  $400 + 30 + 300 + 50$ ;

გ.  $132 + 230 + 70 + 68$ ;

ბ.  $500 + 20 + 45 + 400$ ;

დ.  $342 + 222 + 78 + 58$ .

3. გამოთვალე (ზეპირად):

ა.  $350 + 410$ ;

დ.  $550 + 250$ ;

ბ.  $240 + 325$ ;

ე.  $125 + 375$ ;

გ.  $815 + 125$ ;

ვ.  $335 + 65$ .

4. შეადარე შეკრების გარეშე:

ა.  $128 + 35$  და  $128 + 36$ ;

გ.  $528 + 127$  და  $528 + 100$ ;

ბ.  $326 + 55$  და  $326 + 56$ ;

დ.  $338 + 237$  და  $237 + 300$ .


5. დაასახელე ნახატზე მოცემული თითოეული გეომეტრიული ფიგურა.

ა.  A ;

ბ.  A B ;

გ.  ;

დ.  d ;

ე.  .

6. დაასახელე რიცხვი, რომელიც შეიცავს:
- ა. 5 ასეულს და 7 ერთეულს;
  - ბ. 2 ასეულს, 8 ათეულს და 2 ერთეულს;
  - გ. 7 ასეულს და 8 ერთეულს;
  - დ. 9 ასეულს, 9 ათეულს და 9 ერთეულს.

7. გადაანაცვლე ბარათები ისე, რომ სწორი ტოლობა მიიღო:

- |                     |                     |
|---------------------|---------------------|
| ა. $33 + 8 = 25$ ;  | ე. $35 + 17 = 18$ ; |
| ბ. $39 - 15 = 54$ ; | ვ. $17 - 5 = 22$ ;  |
| გ. $43 + 60 = 17$ ; | ზ. $8 + 17 = 9$ ;   |
| დ. $15 + 7 = 8$ ;   | თ. $27 + 15 = 12$ . |

8. ხუთი ერთიანითა და შეკრების ნიშნით მიიღე:

- ა. 14;                      ბ. 23;                      გ. 122;                      დ. 113.

9. დიდ ვედროში 10 ლ წყალი ეტევა, პატარაში – 7. რომელი და რამდენი ვედრო უნდა გამოვიყენოთ, რომ ავიღოთ:

- ა. 27 ლ წყალი?                      ბ. 34 ლ წყალი?

10. მოკლე ჩანანერის მიხედვით შეადგინე ამოცანა და ამოხსენი: ფუნთუშა – 200 გრ 300 გრ-ით მეტი პური –  300 გრ-ით მეტი ორივე – ?

11. ბექამ საბას მისცა თავისი კანფეტების ნახევარი და კიდევ 5 ცალი კანფეტი, რის შემდეგაც ბექას კიდევ დარჩა 25 კანფეტი. რამდენი კანფეტი ჰქონდა ბექას და რამდენი მისცა მან საბას?

12. მოცემული ბარათები დაალაგე ზრდის მიხედვით:

- ა.  $351$   $191$   $212$   $506$   $723$   $481$  ;
- ბ.  $51$   $37$   $32$   $86$   $103$  .

**მაგიური კვადრები**

მაგიურ კვადრატში ყოველ ჰორიზონტალურ ხაზზე, ვერტიკალურ ხაზსა და ორივე დიაგონალზე რიცხვების ჯამი ერთმანეთის ტოლია.

40		
	50	10
		60

48	6	36
	30	
24		



**ვითამაშოთ**

13. ორი მოთამაშე რიგრიგობით ასახელებს რიცხვებს 1-დან 10-მდე (1-ის და 10-ის ჩაუთვლელად) და დასახელებულ რიცხვს უმატებს მანამდე დასახელებული რიცხვების ჯამს. იგებს ის, ვინც პირველი მიიღებს 100-ს. მაგალითად, პირველი ასახელებს 7-ს, მეორე 9-ს (ჯამია 16). პირველი ასახელებს 5-ს (მიიღება 21). მეორე ასახელებს 6-ს (მიიღება 27) და ა.შ.  
**მითითება:** მოგებულობა ის, ვინც პირველი მიიღებს რიცხვებს: 89, 79, 69, ... რატომ?

$$\begin{array}{r} \overset{1}{5} \overset{1}{6} \overset{1}{9} 3 \\ + 4357 \\ \hline 10050 \end{array}$$

$$\begin{array}{r} 4916 \\ + 5207 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 421 \\ - 208 \\ \hline \end{array}$$

მარკეტმა ერთ დღეს 56 ლარის რვეული გაყიდა, მეორე დღეს კი – 39 ლარით მეტი. რამდენი ლარის რვეული გაიყიდა მეორე დღეს? რიცხვების შეკრება უფრო მარტივია ქვეშინურით. ვიპოვოთ ჯამი:  $56 + 39$ .

პირველ შესაკრებს მივუწეროთ მეორე შესაკრები შემდეგნაირად: ერთეულებს ვწერთ ერთეულების ქვეშ, ათეულებს – ათეულების ქვეშ.

შეკრებას ვიწყებთ ერთეულებით, შემდეგ ვკრებთ ათეულებს.

$$\begin{array}{r} 1 \\ + 56 \\ + 39 \\ \hline 95 \end{array}$$


1) 6 ერთეულს + 9 ერთეული = 15 ერთეულს = 1 ათეულს და 5 ერთეულს. 5 ერთეული ინერება ერთეულების ქვეშ, ხოლო ერთ ათეულს ვიმახსოვრებთ.

2) 5 ათეულს + 3 ათეული = 8 ათეულს და კიდევ 1 ათეული (დამახსოვრებული) = 9 ათეულს.

ე.ი.  $56 + 39 = 95$

❓ ახსენი როგორ შესრულდა შეკრება:  $\begin{array}{r} 89 \\ + 57 \\ \hline 146 \end{array}$

ვიპოვოთ ჯამი:  $338 + 459$ .



$$\begin{array}{r} 1 \\ + 338 \\ + 459 \\ \hline 797 \end{array}$$

1) 8 ერთ. + 9 ერთ. = 17 ერთ. 17 ერთ. = 1 ათ. + 7 ერთ. ერთეულების ქვეშ ვწერთ 7 ერთეულს და ვიმახსოვრებთ 1 ათეულს.

2) 3 ათ. + 5 ათ. = 8 ათ. კიდევ 1 ათ. იქნება 9 ათ.

9-ს ვწერთ ათეულების ქვეშ.

3) 3 ას. + 4 ას. = 7 ას. 7-ს ვწერთ ასეულების ქვეშ.

გამოთვალე ჯამი:  $327 + 218 + 447$ .

ქვეშინური შეკრებას წერით შეკრებასაც უწოდებენ.

### გაიხსენა!

$$\begin{aligned} 56 + 39 &= \\ &= 50 + 6 + 30 + 9 = \\ &= (50 + 30) + (6 + 9) = \\ &= 80 + 15 = \\ &\quad \begin{array}{c} \diagup \quad \diagdown \\ 10 + 5 \end{array} \\ &= 90 + 5 = 95 \end{aligned}$$

სამნიშნა რიცხვების შეკრებისას ერთეულებს ვწერთ ერთეულების ქვეშ, ათეულებს – ათეულების ქვეშ, ასეულებს – ასეულების ქვეშ. შეკრებას ვიწყებთ ერთეულებით, შემდეგ ვკრებთ ათეულებს, შემდეგ კი – ასეულებს.

### გაიხსენა!

1 ას. = 10 ათ.

1 ათ. = 1 ერთ.

 **სავარჯიშოები:**


1. იპოვე ჯამი ქვეშეშეერთით:  
 ა.  $37+48$ ;      ბ.  $44+35$ ;      გ.  $235+44$ ;      დ.  $15+135$ .

2. შეადგინე ამოცანა  $47+48$  გამოსახულების მიხედვით და ამოხსენი.

3. გადაინერე მაგალითები რვეულში და იპოვე ჯამი:

ა.  $\begin{array}{r} 79 \\ +18 \\ \hline \end{array}$ ;      ბ.  $\begin{array}{r} 64 \\ +58 \\ \hline \end{array}$ ;      გ.  $\begin{array}{r} 37 \\ +64 \\ \hline \end{array}$ ;      დ.  $\begin{array}{r} 47 \\ +45 \\ \hline \end{array}$ ;      ე.  $\begin{array}{r} 15 \\ +83 \\ \hline \end{array}$ .

4. შეადგინე ამოცანა ნახაზის მიხედვით, დასვი შეკითხვები და უპასუხე.




5. იპოვე ჯამი:

ა.  $\begin{array}{r} 357 \\ +283 \\ \hline \end{array}$ ;      ბ.  $\begin{array}{r} 276 \\ +125 \\ \hline \end{array}$ ;      გ.  $\begin{array}{r} 395 \\ +208 \\ \hline \end{array}$ ;      დ.  $\begin{array}{r} 132 \\ +488 \\ \hline \end{array}$ .

**რიცხვითი კაღელი**

ყოველ ზედა უჯრაში ჩანერე ქვედა ორი მეზობელი უჯრის რიცხვების ჯამი.



6. იპოვე გამოსახულების მნიშვნელობა (ორი ხერხით):

**ნიმუში:**  $151 + 215 + 327$ .

1-ლი ხერხი

1.  $\begin{array}{r} 151 \\ +215 \\ \hline 366 \end{array}$       2.  $\begin{array}{r} 366 \\ +327 \\ \hline 693 \end{array}$

მე-2 ხერხი

$\begin{array}{r} 151 \\ +215 \\ +327 \\ \hline 693 \end{array}$

ა.  $512 + 97 + 127$ ;      ბ.  $318 + 282 + 137$ ;      გ.  $108 + 530 + 209$ .

7. ლიკამ არდადეგებზე ორი წიგნი წაიკითხა. ერთში 138 გვერდი იყო, მეორეში 98. სულ რამდენი გვერდი წაიკითხა ლიკამ?

8. მათეს დაბადების დღეზე ფაზლის ორი ნაკრები აჩუქეს. პირველ ნაკრებში 424 ფაზლი იყო, მეორეში 14-ით მეტი. სულ რამდენი ფაზლი იყო ორივე ნაკრებში?

9. შეადგინე ამოცანის პირობა გამოსახულების მიხედვით და ამოხსენი:

ა.  $122 + (122 + 8)$ ;      ბ.  $135 + (135 + 81)$ .

10. ნიკა და დათო ველოსიპედის საყიდლად თავთავიანთ ყულაბებში ფულს აგროვებდნენ. ველოსიპედი 264 ლარი ღირს. ყულაბების გატყევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნიკას ჰქონდა 135 ლარი, ხოლო დათოს – 145 ლარი. ეყოფათ თუ არა ეს თანხა მეგობრებს ველოსიპედის საყიდლად?

11. რას უდრის:

- ა. უდიდესი სამნიშნა და უდიდესი ორნიშნა რიცხვების ჯამი?  
 ბ. უმცირესი სამნიშნა და უდიდესი ორნიშნა რიცხვების ჯამი?  
 გ. უმცირესი ორნიშნა და უდიდესი სამნიშნა რიცხვების ჯამი?